სატენდერო დოკუმენტაცია

გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე

ქ. ზუგდიდი, 2016 წელი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის პროცედურები ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების საფუძველზე.

1.2. წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12[1] მუხლისა და „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-9 მუხლის შესაბამისად.

2. შესყიდვის ობიექტის დასახელება, ტექნიკური დავალება და მიწოდების პირობები

2.1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და ტექნიკური პარამეტრები

2.1.1. შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს: *სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვა.*

№	*ადმინისტრაციული ერთეულის დასახელება*	*შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება (ლარი)*
1	ახალაბასთუმანი	3972,20
2	შამგონა	3975,80
3	ბაში	5000
4	ზედაეწერი	7983,50
5	ნაწულუკუ	4989,50
6	რიყე	3995,80
7	რუხი	5990,20
8	ტყაია	4981,50
9	ჩხორია	7949,70
10	ოირემე	3975,80
11	ინგირი	4990,30
12	ახალსოფელი	4998,80
13	ურთა	5986,90
14	ჭკადუაში	5982
15	კორცხელი	7974,90
16	ნაცატუ	7994,90
		სულ მთლიანი ღირებულება: 90721,80 ლარი

შენიშვნა[1]: *თითოეულ ობიექტზე განსახორციელებელი სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულისათვის გათვალისწინებულ სავარაუდო ღირებულებას.*

2.2. ტექნიკური დავალება

2.2.1. შესასრულებელი სამუშაოების დეტალური ჩამონათვალი, აღწერილობა და საპროექტო მოცულობები მოცემულია ხარჯთაღრიცხვაში (იხ. დანართი №1).

2.2.2. სამუშაოები უნდა განხორციელდეს ტექნიკურ დავალებაში (ხარჯთაღრიცხვაში) ჩამოთვლილი სამუშაოების შესაბამისად.

2.3. სამუშაოს შესრულების პირობები და ვადები

2.3.1. ტენდერში გამარჯვებულმა სამუშაოს შესრულება უნდა უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებიდან 50 (ორმოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

2.3.2. დადგენილ ვადაში სამუშაოების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულება გამოიწვევს ტენდერში გამარჯვებული პრეტენდენტის პასუხისმგებლობას, წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის ხელშეკრულების პროექტში განსაზღვრული წესის შესაბამისად.

2.3.3. ტენდერში გამარჯვებული ვალდებულია, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებიდან, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, წარმოადგინოს სამუშაოების შესრულების ფინანსური გეგმა-გრაფიკი, პროცენტული მაჩვენებლებისა და თანხების მითითებით, დადგენილი ფორმის შესაბამისად. აღნიშნული გრაფიკის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააჯარიმოს, ტენდერში გამარჯვებული, ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით.

2.4. სამუშაოთა შესრულების წესი

2.4.1. სამუშაოების შესრულების წესი განისაზღვრება ამ თავითა და ხელშეკრულების პირობებით.

2.4.2. შესასრულებელი სამუშაო უნდა შეესაბამებოდეს შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნებს, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ფარგლებში.

2.4.3. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტმა უნდა იხელმძღვანელოს წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციის დანართის სახით წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვით.

2.4.4. სამუშაოების ან მისი ნაწილის დასრულების შემდგომ, შესრულებული სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით შემსყიდველი განახორციელებს სამუშაოების შემოწმებას.

2.4.5. შესასრულებელი სამუშაო ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების მოცულობა და ღირებულება აისახება სამუშაოების შესრულების აქტ(ებ)ში _ ფორმა №2-ში.

2.4.6. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით ტენდერში გამარჯვებულმა პრეტენდენტმა (საკუთარი ხარჯებით) უნდა უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ექსპერტიზის ჩატარება და ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენა.

2.4.7. საექსპერტო მომსახურების შესრულების ვადები არ იქნება დაკავშირებული სამუშაოების შესრულების ვადებთან, ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარდგენა უნდა მოხდეს სამუშაოების დასრულებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში.

2.4.8. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების დაფიქსირების შემთხვევაში, ტენდერში გამარჯვებული ვალდებულია გონივრულ ვადაში, საკუთრი ხარჯებით უზრუნველყოს გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

2.5. სხვა დამატებითი პირობები

2.5.1. შემსყიდველი იტოვებს უფლებას სრულად არ აითვისოს სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული სამუშაოს მოცულობა და შესაბამისად სახელშეკრულებო ღირებულების სრული ანაზღაურება.

2.5.2. იმ შემთხვევაში თუ ტენდერში ელექტრონული ვაჭრობის შედეგად გამარჯვებული პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტმა უნდა დაასაბუთოს ფასწარმოქმნის ადეკვატურობა ან/და ამ ფასად ტენდერით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა. აღნიშნულის თაობაზე პრეტენდენტი ვალდებულია, მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოს შესაბამისი ექსპერტიზის დასკვნის წარმოდგენა. დასკვნა გაცემული უნდა იყოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული ან საქართველოს კანონმდელობითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით მინიჭებული, შესაბამისი საქმიანობის უფლების მქონე პირის მიერ. თუ ექსპერტიზის დასკვნის გამცემი არ იქნება სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, დამატებით წარმოდგენილი უნდა იქნეს ექსპერტიზის განმახოციელებელი პირის შესაბამისი აკრედიტაციის სერთიფიკატი ან/და ლიცენზია.

3. საკვალიფიკაციო მოთხოვნები

3.1. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტაცია

3.1.1. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და დოკუმენტებს:

იურიდიული პირისათვის:

საკვალიფიკაციო მოთხოვნების გარეშე.

ფიზიკური პირისათვის:

საკვალიფიკაციო მოთხოვნების გარეშე.

როგორც იურიდიული, ასევე ფიზიკური პირებისათვის:

საკვალიფიკაციო მოთხოვნების გარეშე.

3.2. საკვალიფიკაციო კრიტერიუმები და ტექნიკური მონაცემები

3.2.1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველ პირს, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (2013 წლის 1 იანვრიდან მოცემულ ტენდერში წინადადებების მიღების დასრულების დღემდე) განმავლობაში შესრულებული უნდა ჰქონდეს საავტომობილო გზის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები, აღნიშნულის დასტურად შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები: ხელშეკრულებ(ებ)ის ასლ(ებ)ი, შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ფორმა №2-ის ასლები ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა.

3.2.2. პრეტენდენტს, ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოების წარმოებისათვის, უნდა გააჩნდეს, საკუთარი ან სარგებლობის ნებისმიერი ფორმით (იჯარა, თხოვება, ქირა და ა.შ.), თანამედროვე ტექნიკური მოთხოვნების შესაბამისი სამშენებლო ტექნიკა (მანქანები, მექანიზმები, ინსტრუმენტები, აპარატურა და სხვ.). ინფორმაცია, ტექნიკის ხელმისაწვდომობის შესახებ, წარმოდგენილი უნდა იქნეს ქვემოთ მოცემული ფორმის _ №2 დანართის შესაბამისად. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტი, სამუშაოების შესასრულებლად ვალდებულია ფლობდეს, მინიმუმ, შემდეგი სახეობისა და რაოდენობის მანქანა-მექანიზმებს:

№	*სამშენებლო ტექნიკის დასახელება*	*რაოდენობა*
1	ავტოგრეიდერი	1 ერთეული
2	ექსკავატორი	1 ერთეული
3	ავტოთვითმცლელი	1 ერთეული

4. სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაცია

4.1. სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების დაფინანსების წყარო

4.1.1. 83,45% _ სახელმწიფო ბიუჯეტი _ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 19 თებერვლის №265 განკარგულების თანახმად „სოფლის მხარდაჭერის პროგრამიდან“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი სახსრები; 16,55% _ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტი (სოფლის მხარდაჭერის პროგრამის თანადაფინანსება).

4.2. სატენდერო წინადადების ფასი

4.2.1. სატენდერო წინადადების ღირებულება წარმოდგენილი უნდა ოყოს სამუშაოების სრულყოფილად შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

4.2.2. ხარჯები, რომლებიც სატენდერო წინადადების ფასში არ იქნება გათვალისწინებული, არ დაექვემდებარება ანაზღაურებას.

4.2.3. სატენდერო წინადადებაში საერთო და ერთეულის ფასი გამოსახული უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში _ ლარში.

4.3. ანგარიშსწორების პირობები

4.3.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, თანხის გადარიცხვის ფორმით.

4.3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების გათვალისწინებით შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა №2), ექსპერტიზის დადებითი დასკვნისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის (ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტის) წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.3.3. საბოლოო ანგარიშსწორებამდე დაკავებული იქნება თანხა _ სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით, რომლის გადახდა მოხდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა №2), ექსპერტიზის დადებითი დასკვნისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარმოდგენის შემდეგ. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების დაფიქსირების შემთხვევაში აღნიშნული ოდენობის თანხა არ ანაზღაურდება, გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრამდე.

4.3.4. ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად (პერიოდულად), შუალედური ანგარიშსწორებით. ასეთ შემთხვევაში ანგარიშსწორება მოხდება სამუშაოების მომდევნო ეტაპის დასრულების შესახებ შესაბამისი მიღება-

ჩაბარების აქტის (ფორმა №2) და საგადასახადო ანგარიშფაქტურის (ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტის) წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.3.5. მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს საავანსო ანგარიშსწორება, ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 30%-ის ოდენობით, რაზეც წარმოდგენილი უნდა იქნეს ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ან სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. აღნიშნული პირობა მოქმედებს სახელშეკრულებო ღირებულების ერთიანი ან ეტაპობრივი წესით გადახდის შემთხვევაშიც. წარმოდგენილი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს სამუშაოების დასრულების ვადაზე ნაკლები.

4.3.6. საბანკო გარანტიით გაცემული თანხის შესაბამისი ოდენობის სამუშაოთა აქტ(ებ)ის წარმოუდგენლობის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია იტოვებს უფლებას გარანტიით გათვალისწინებული მოქმედების ვადის გასვლამდე 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე მოითხოვოს გაცემული საავანსო თანხის დაბრუნება.

4.4. პრეტენდენტის სატენდერო წინადადება და ტექნიკური დოკუმენტაცია

4.4.1. პრეტენდენტის სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებსა და ინფორმაციას:

ა) ***ხარჯთაღრიცხვის შევსებულ ფორმას, №1 დანართის შესაბამისად (ტენდერის სტატუსის „წინადადების მიღება დასრულებულია ეტაპზე," ხარჯთაღრიცხვის შევსებული ფორმის წარმოუდგენლობა გამოიწვევს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას);***

ბ) ***ინფორმაციას, უკანასკნელი 3 (სამი) წლის (2013 წლის 1 იანვრიდან მოცემულ ტენდერში წინადადებების მიღების დასრულების დღემდე) განმავლობაში, საავტომობილო გზის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულების გამოცდილების შესახებ. აღნიშნულის დასტურად შესყიდვაში მონაწილეობის მსურველმა პირმა უნდა წარმოადგინოს სამუშაოების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტები: ხელშეკრულებ(ებ)ის ასლ(ებ)ი, შესრულებული სამუშაოების საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ფორმა №2-ის ასლები ან/და დამკვეთის მიერ გაცემული შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი ცნობა;***

გ) ***ინფორმაციას მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ (ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს №2 დანართის შესაბამისად, 3.2.2. ქვეპუნქტის პირობების გათვალისწინებით. საკუთრების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს ტექნიკური პასპორტების ან/და საკუთების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის - აუდიტის დასკვნა, მიღება-ჩაბარების აქტი, დადასტურებული ანგარიშფაქტურა ან სხვა დოკუმენტაციის ასლები. იჯარის, თხოვების ან დაქირავების შემთხვევაში შესაბამისი ხელშეკრულებების ასლები, რომლის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს სამუშაოების დასრულების ვადაზე ნაკლები);***

დ) ***პრეტენდენტის შესახებ ინფორმაციას (№3 დანართის შესაბამისად);***

4.4.2. 4.4.1. პუნქტით გათვალისწინებული ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია წარმოადგენს პრეტენდენტის სატენდერო წინადადებას, რომელიც უნდა აიტვირთოს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადების შეთავაზებისას.

4.4.3. პრეტენდენტს უფლება არა აქვს წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

4.4.4. სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად მოთხოვნილი ინფორმაციის ან დოკუმენტაციის წარუდგენლობის შემთხვევაში შესაძლოა მოხდეს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია.

4.4.5. ტენდერში მონაწილე პრეტენდენტის სატენდერო წინადადება, აგრეთვე ამ წინადადებასთან დაკავშირებული შემსყიდველსა და პრეტენდენტს შორის გაცვლილი მთელი კორესპონდენცია და დოკუმენტაცია შედგენილ უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტის ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანი. ამ შემთხვევაში მოცემული სატენდერო წინადადების ინტერპრეტაციის დროს, უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის უპირატესობის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

4.5. სატენდერო წინადადების მომზადება და შევსების წესი

4.5.1. სატენდერო ფორმა და დანართები უნდა მომზადდეს შესაბამისი ფორმის გამოყენებით, რომელიც წარმოდგენილია სატენდერო დოკუმენტაციით. ფორმები უნდა შეივსოს ტექსტის გადაკეთების გარეშე, თითოეული ცარიელი ადგილი უნდა შეივსოს მოთხოვნილი ინფორმაციით.

4.5.2. პრედენტენტის მიერ წარმოდგენილი ყველა დოკუმენტი და ინფორმაცია უნდა იყოს სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული (საჭიროების შემთხვევაში ატვირთული უნდა იქნეს მინდობილობა ან რწმუნებულება).

4.5.3. პრეტენდენტის სატენდერო წინადადება ძალაში რჩება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თვმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექრტონული ტენდერისა და ელექტრონული

ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ,“ „რ“ ან „ტ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ეტაპების დადგომამდე.

4.5.4. სხვა დამატებითი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შევსების წესი განისაზღვრება დამატებით მოთხოვნებისა და/ან შენიშვნ(ებ)ის სახით.

<u>შენიშვნა (2):</u> *პრეტენდენტი აღნიშნულ ტენდერში მონაწილეობით ავტომატურად ადასტურებს, რომ მისთვის ცნობილია წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაციით დადგენილი მოთხოვნები და ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის.*

<u>შენიშვნა (3):</u> *შესაძლებელია პრეტენდენტს სატენდერო კომისიის გადაწყვეტილების შესახებ და ასევე, გამარჯვების შემთხვევაში საჭირო შეტყობინებები (სათანადოდ უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი) გაეგზავნოს ელექტრონული ფოსტის საშუალებით.*

5. სატენდერო კომისიის აპარატის იმ წევრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია, რომელსაც უფლება აქვს გასცეს ინფორმაცია და განმარტებები შესყიდვის პროცედურების შესახებ

5.1. სატენდერო დოკუმენტაციის შესახებ დამატებითი ინფორმაციისა და შესყიდვის პროცედურების შესახებ განმარტებების მისაღებად დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან: ბესიკ ქარდავა _ სატენდერო კომისიის აპარატის წევრი, მისამართზე: ქ. ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №90, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობა, მე-3 სართული, ოთახი №15, საკონტაქტო ტელეფონი: +995 595 22 27 88.

6. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
(პ რ ო ე ქ ტ ი)

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად გამარჯვებულ პრეტენდენტთან, ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს გამარჯვებული პრეტენდენტის სატენდერო წინადადების შესაბამისად.

ქ.ზუგდიდი .... *2016 წელი.*

ერთი მხრივ, ***ზუგდიდის მუნიციპალიტეტი*** (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში _ შემსყიდველი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგებლის ედიშერ თოლორაიას სახით და მეორე მხრივ, ... (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში _ მიმწოდებელი), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, ... სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც _ მხარეები, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექრტონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად, განხორციელებული გამარტივებული ელექტრონული ტენდერის (SPA.....) ფარგლებში მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების გათვალისწინებით, ვდებთ ამ ხელშეკრულებას (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში _ ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „შემსყიდველი ორგანიზაცია“ ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს სამუშაოებს, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში.

1.5. „დღე,“ „კვირა,“ „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

1.6. „დასრულება“ ნიშნავას მიმწოდებლის მიერ სამუშაოს შესრულებას ხელშეკრულებაში მოცემული ვადებისა და პირობების შესაბამისად.

1.7. „ხარვეზი/დეფექტი“ ნიშნავს სამუშაოს ნებისმიერი იმ ნაწილის შეუსრულებლობას ან არაჯეროვნად შესრულებას, რომლის განხორციელებაც გათვალისწინებულია ხელშეკრულების, საპროექტო დოკუმენტაციის ან/და სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისაგან, ... სამუშაოების (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში _ სამუშაოები) შესყიდვა *(CPV კოდი: .....).*

2.2. მიმწოდებელი ვალდებულებას კისრულობს შეუსრულოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული სამუშაოები თანდართული ხარჯთაღრიცხვის, საპროექტო დოკუმენტაციისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხოლო შემსყიდველი ვალდებულებას კისრულობს აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ღირებულება, ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

2.3. სამუშაოს დასახელება, სახეობები (ჩამონათვალი), მოცულობა და ღირებულება გათვალისწინებულია ხარჯთაღრიცხვაში, რომელიც წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. შესასრულებელი სამუშაოს მთლიანი ღირებულება, სამუშაოების სრულყოფილად შესრულებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გათვალისწინებით, შეადგენს: ..... (.....) ლარს (შემდგომში, ხელშეკრულების ტექსტში _ სახელშეკრულებო ღირებულება).

4. სამუშაოს შესრულების პირობები

4.1. სამუშაოების შესრულება მიმწოდებლის მიერ განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების დადებიდან ..... (.....) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.2. მიმწოდებელი ვალდებულია დაიწყოს სამუშაოები წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან და დაასრულოს არაუგვიანეს 2016 წლის ....მდე.

4.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია ვადამდე ადრე ჩააბაროს შემსყიდველს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო.

4.4. განსაზღვრულ ვადაში სამუშაოების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულება გამოიწვევს მიმწოდებლის პასუხისმგებლობას, წინამდებარე ხელშეკრულების მე-13 მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. სამუშაო ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის (ფაქტიურად შესრულებული სამუშაოების მიღების აქტი) გაფორმების შემდეგ.

5.2. სამუშაოს ან მისი ნაწილის (ეტაპის) დასრულების შესახებ მიმწოდებელი შემსყიდველს აცნობებს წერილობით და წარუდგენს სამუშაოების შესრულების აქტს, ფორმა №2-ის (მოცულობებისა და ღირებულებების ჩამონათვალი) სახით.

5.3. შემსყიდველი მიმწოდებლისგან 5.2. პუნქტში აღწერილი დოკუმენტის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, ვალდებულია შეამოწმოს წარმოდგენილი დოკუმენტ(ებ)ი, მიიღოს შესრულებული სამუშაოები და გაუგზავნოს ან გადასცეს მიმწოდებელს ხელმოწერილი აქტის ერთი ეგზემპლარი, ან წერილობითი მოტივირებული უარი სამუშაოების მიღებასა და აქტის ხელმოწერაზე, დაწუნებული სამუშაოს მოცულობისა და წუნდების მიზეზის მითითებით.

5.4. შემსყიდველის მიერ სამუშაოების მიღებაზე და მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი აქტის (ფორმა №2-ის) ხელმოწერაზე მოტივირებული უარის შემთხვევაში, მხარეები ადგენენ აქტს, გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ (დეფექტური აქტი). შემსყიდველის მიერ გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთრი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.5. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველის ყველა წარმოდგენილი ხარვეზის აღმოფხვრის შემდეგ, შესრულებული სამუშაოების მიღება ხორციელდება ხელშეკრულების წინამდებარე მუხლით დადგენილი წესით.

5.6. საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე, შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობისა დადგენის მიზნით მიმწოდებელმა საკუთარი ხარჯებით უნდა უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს ექსპერტიზის ჩატარება და ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენა (ექსპერტიზის დასკვნა გაცემული უნდა იყოს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ან სხვა აკრედიტებული ან საქართველოს კანონმდელობითა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით მინიჭებული, შესაბამისი საქმიანობის უფლების მქონე პირის მიერ) საექსპერტო მომსახურების შესრულების ვადები არ იქნება დაკავშირებული სამუშაოების შესრულების ვადებთან. ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარდგენა უნდა მოხდეს სამუშაოების დასრულებიდან არაუგვიანეს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში.

5.7. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს მიღებას ახორციელებენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც სამუშაოს მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ მიღება-ჩაბარების აქტს.

6. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

6.1. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით, თანხის გადარიცხვის ფორმით მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში.

6.2. ანგარიშსწორებას შემსყიდველი განახორციელებს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების გათვალისწინებით შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა №2), ექსპერტიზის დადებითი დასკვნისა და საგადასახადო ანგარიშფაქტურის (ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტის) წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.3. საბოლოო ანგარიშსწორებამდე დაკავებული იქნება თანხა _ სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ოდენობით, რომლის გადახდა მოხდება საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტისა და ექსპერტიზის დადებითი დასკვნის წარმოდგენის შემდეგ. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოების დაფიქსირების შემთხვევაში აღნიშნული ოდენობის თანხა არ ანაზღაურდება, გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრამდე.

6.4. ანგარიშსწორება შესაძლებელია განხორციელდეს ეტაპობრივად (პერიოდულად), შუალედური ანგარიშსწორებით. ასეთ შემთხვევაში ანგარიშსწორება მოხდება სამუშაოების მომდევნო ეტაპის დასრულების შესახებ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის (ფორმა №2) და საგადასახადო ანგარიშფაქტურის (ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტის) წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6.5. მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია განხორციელდეს საავანსო ანგარიშსწორება, ხელშეკრულების ღირებულების არაუმეტეს 30%-ის ოდენობით, რაზეც წარმოდგენილი უნდა იქნეს ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების ან სადაზღვევო ორგანიზაციის მიერ გაცემული საბანკო გარანტია. აღნიშნული პირობა მოქმედებს სახელშეკრულებო ღირებულების ერთიანი ან ეტაპობრივი წესით გადახდის შემთხვევაშიც. წარმოდგენილი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს სამუშაოების დასრულების ვადაზე ნაკლები.

6.6. საბანკო გარანტიით გაცემული თანხის შესაბამისი ოდენობის სამუშაოთა აქტ(ებ)ის წარმოუდგენლობის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია იტოვებს უფლებას გარანტიით გათვალისწინებული მოქმედების ვადის გასვლამდე 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე მოითხოვოს გაცემული საავანსო თანხის დაბრუნება.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. ***<u>შემსყიდველი ვალდებულია:</u>***

7.1.1. უზრუნველყოს შესრულებული სამუშაოს მიღება და შესაბამისი ანაზღაურების გადახდა მიმწოდებლისათვის, წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით.

7.1.2. შეუქმნას მიმწოდებელს სამუშაო პირობები.
7.1.3. წინასწარ გააფრთხილოს მიმწოდებელი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში შესატან ცვლილებებზე, რომლებმაც შეიძლება გავლენა იქონიოს შესასრულებელ სამუშაოებზე.

7.2. ***<u>შემსყიდველი უფლებამოსილია:</u>***

7.2.1. მიმწოდებლისგან მოითხოვოს სამუშაოს შესრულება, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და განსაზღვრულ ვადაში.
7.2.2. შეუფერხებლად გაეცნოს ყველა სახის სამუშაოებს, მათი შესრულების მთელი პერიოდის განმავლობაში და მათი წარმოების ნებისიერ დროს.
7.2.3. სამუშაოების ან მისი ნაწილის დასრულების შემდგომ, განახორციელოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოს შემოწმება, შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.
7.2.4. სამუშაოების წარმოების ნებისმიერ ეტაპზე შეცვალოს საპროექტო დოკუმენტაცია, სამუშაოების მოცულობის შემცირების გზით, რაც არ საჭიროებს მიმწოდებელთან დამატებით შეთანხმებას.
7.2.5. მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში შეწყვიტოს ხელშეკრულება.
7.2.6. მიმწოდებლისაგან მოითხოვოს შესრულებული სამუშაოს შესახებ დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.
7.2.7. უარი განაცხადოს წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებაზე, თუ მიმწოდებელი დროულად არ იწყებს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულებას ან ისე ნელა ასრულებს სამუშაოებს, რომ მათი დადგენილ ვადაში დასრულება შეუძლებელი ხდება.

7.3. ***<u>მიმწოდებელი ვალდებულია:</u>***

7.3.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით შეასრულოს სამუშაო.
7.3.2. უზრუნველყოს სამუშაოს შესრულება წინამდებარე ხელშეკრულების, საპროექტო დოკუმენტაციის, სამშენებლო ნორმებისა და წესების, აგრეთვე სამუშოების შესრულების ადგილზე მიღებული მოთხოვნების გათვალისწინებით.
7.3.3. გადასცეს შემსყიდველს საკუთრების უფლება ხელშეკრულების ფარგლებში მის მიერ გამოყენებულ სამშენებლო მასალებზე.
7.3.4. საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველის მიერ გამოვლენილი ყველა ნაკლისა და დეფექტის აღმოფხვრა, რომელიც გამოწვეულია შესრულებული სამუშაოებიდან.
7.3.5. დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს იმ მოსალოდნელ მოვლენებთან და გარემოებებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება უარყოფითად იმოქმედონ სამუშაოების მიმდინარეობაზე.
7.3.6. დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან/და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ.
7.3.7. ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს შემსყიდველს, შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

7.4. ***<u>მიმწოდებელი უფლებამოსილია:</u>***

7.4.1. შემსყიდველისაგან მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.
7.4.2. მოსთხოვოს შემსყიდველს სამუშაოების განსახორციელებლად ყველა საჭირო დოკუმენტაციისა და ინფორმაციის მიწოდება.

8. უფლებების გადაცემა

8.1. მიმწოდებელს არა აქვს უფლება შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

9. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
9.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე (ათი პროცენტი) მეტი ოდენობით გაზრდა.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთი მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.
10.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებლი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს შემსყიდველი არ არის ვალდებული წარუდგინოს მიმწოდებელს რაიმე მტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. შეტყობინება

11.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ფაქსის ან ელექტრონული სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, მეორე მხარის ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე.

11.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

12. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში, მხარეთ წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო, ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე, დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

12.2. იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა (პასუხისმგებლობა)

13.1. მიმწოდებელი პასუხისმგებელია მის მიერ განხორციელებულ სამუშაოებზე, ასევე პასუხისმგებელია სამუშაოების მსვლელობის მთელი პერიოდის განმავლობაში უსაფრთხოების დაცვაზე. უსაფრთხოების წესების დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველისათვის ან მესამე პირ(ებ)ისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.

13.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია სამუშაოების დასრულების შემდეგ დარჩენილი მასალის, ნარჩენების გათავისუფლება/უტილიზაციის წესების დაცვაზე და ვალდებულია აანაზღაუროს ის ზიანი, რაც შემსყიდველს ან მესამე პირს მიადგება, შესაბამისი წესების დარღვევის შედეგად.

13.3. შემსყიდველი არ არის პასუხისმგებელი იმ ვალდებულებებისათვის, რომლებიც სამუშაოთა წარმოების დროს მიმწოდებელს წარმოეშობა მესამე პირ(ებ)ის წინაშე.

13.4. სამუშაოების დასრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, თუ სხვა ვადებს მხარეები არ შეათანხმებენ წერილობით, ყოველი დაგვიანებული დღისათვის მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

13.5. იმ შეთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.6. თუ, მიმწოდებელი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის ფარგლებში ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, შემსყიდველი უფლებამოსილია: ა) შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელი, ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის დააჯარიმოს, ხელშეკრულების საერთო თანხის 5%-ის ოდენობით; ბ) განუსაზღვროს სამუშაოს დასრულებისათვის დამატებითი ვადა, არაუმეტეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა, რა ვადაშიც მიმწოდებელი ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე იხდის, პირგასამტეხლოს ხელშეკრულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

13.7. ხარვეზით შესრულებული სამუშაოს შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია ნაკლოვანების აღმოჩენიდან, საამისოდ აუცილებელ გონივრულ ვადაში, მიიღოს საჭირო ზომები ხარვეზის გამოსასწორებლად, ხოლო აღნიშნულის შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია არ გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება და მოითხოვოს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია გადაუხადოს შემსყიდველს ჯარიმა, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

13.8. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი განახორციელებს სამუშაოებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან შეუსაბამოდ, რის გამოც შემსყიდველს მიადგება ზიანი, მიმწოდებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსყიდველს აღნიშნული ზიანი, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ის ოდენობით.

13.9. საჯარიმო სანქციების გადახდა უნდა მოხდეს შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

13.10. შემსყიდველი უფლებას იტოვებს მოახდინოს პირგასამტეხლოს გამოქვითვა მიმწოდებლისათვის ასანაზღაურებელი თანხიდან ან სახელშეკრულებო ღირებულებიდან დაუკავოს თანხა, გადასახდელი პირგასამტეხლოს ორმაგ ოდენობამდე, დაკისრებული ჯარიმის სრულ დაფარვამდე.

13.11. წინამდებარე ხელშეკრულების მოცემული მუხლებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

13.12. პასუხისმგებლობის სხვა ფორმები, რაც არ არის გათვალისწინებული ამ ხელშეკრულებაში, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

14. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

14.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება, მიმწოდებლისათვის ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

14.1.1. თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია შეასრულოს სამუშაო ან მისი ნაწილი;

14.1.2. თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება;

14.1.3. თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

14.1.4. მიმწოდებლის გადახდისუუნარობის ან გაკოტრების შემთხვევაში;

14.1.5. თუ მიმწოდებლის მიერ გადასახდელი პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს;

14.1.6. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.2. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ მხარეს ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 3 (სამი) დღით ადრე მაინც, ამასთან უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.

14.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

14.4. ამ მუხლის 14.1. პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

14.5. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების საბოლოო აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

15. ფორს-მაჟორი

15.1. ხელშეკრულების დამდები, რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან ან/და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ტვირთის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

15.4. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობა ავტომატურად არ იწვევს ხელშეკრულების გაუქმებას. მხარეები ვალდებულნი არიან განსაზღვრონ წინამდებარე ხელშეკრულების ფორს-მაჟორულ მოვლენებთან მისადაგების საკითხი.

15.5. ფორს-მაჟორული გარემოებების შეწყვეტისთანავე მხარეები დაუყოვნებლივ აგრძელებენ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას.

15.6. ფორს-მაჟორული გარემოებების არსებობის პირობებში, ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, თუ მხარეთა შორის არ იქნა მიღწეული სხვაგვარი შეთანხმება.

15.7. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

16. დავების გადაწყვეტის წესი

16.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

16.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართვენ სასამართლოს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

17. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

17.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელონ კონტროლი (ინსპექტირება) მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

17.2. ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით:

17.3. შემსყიდველის მიერ გამოყოფილი ინსპექტირების ჯგუფი უფლებამოსილია განახორციელოს შესრულებული ან/და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების კონტროლი.

17.4. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთრი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით.

17.5. ინსპექტირების ჯგუფი სამუშაოების ადგილას, პერიოდულად, სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებამდე ჩაატარებს შესრულებული სამუშაოების ინსპექტირებას, რომელიც გულისხმობს შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და ხარისხის კონტროლს.

17.6. ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ სამუშაოს ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს შემსყიდველის მიერ დადასტურებული აქტი.

18. დასკვნითი დებულებანი

18.1. საკითხები, რომლებიც არ არის რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, წყდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე.

18.2. ხელშეკრულების დებულებებში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, წერილობითი გაფორმების შედეგად.

18.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ, ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა არ წარმოადგენს ამ უფლებაზე უარის თქმას.

18.4. ამ ხელშეკრულების რომელიმე პუნქტის (ან მისი ნაწილის) გაუქმება არ იწვევს დანარჩენი პუნქტების გაუქმებას.

18.5. მხარეთა შორის ნებისმიერი შეტყობინება საჭიროებს წერილობით ფორმას. მხარეთა შორის ზეპირი შეტყობინებები ან/და შეთანხმებები სადაოობის, ურწმონოების ან უზუსტობების შემთხვევაში იურიდიული ძალის არმქონეა.

18.6. მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას, დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

18.7. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის ....მდე. თუ, ამ თარიღისათვის არ არის შესრულებული რომელიმე ვალდებულება ხელშეკრულება ავტომატურად გაგრძელდება მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების მომენტამდე.

18.8. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ოთხი თანაბარუფლებიანი ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან (სამი ეგზემპლარი შემსყიდველთან, ხოლო ერთი პირი მიმწოდებელთან).

19. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*

7. პრეტენდენტის მიერ ტექნიკური დოკუმენტაციის სახით სისტემაში ასატვირთი დოკუმენტაცია

დანართი №1

ხ ა რ ჯ თ ა ღ რ ი ც ხ ვ ა

(წარმოდგენილი უნდა იქნეს №1 დანართის მიხედვით)

<u>შენიშვნა:</u>

1) *შესასრულებელი სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის შედგენისას და სახარჯთაღრიცხვო ღირებულების განსაზღვრისას პრეტენდენტმა უნდა იხელმძღვანელოს ტექნიკური რეგლამენტის _ „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებითა და საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების, აგრეთვე, სხვა ნორმატიული აქტებით.*

2) *ერთნაირი დასახელების სამუშაოებზე უნდა დაფიქსირდეს ერთნაირი ფასი.*

3) *პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილ ხარჯთაღრიცხვაში დაუშვებელია სატენდერო დოკუმენტაციით განსაზღვრული სამუშაოების დასახელების, განზომილებისა და რაოდენობების ცვლილება.*

4) *გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის თანხის გამოყენება მოხდება შემსყიდველ ორგანიზაციასთან შეთანხმებით.*

5) *ხარჯთაღრიცხვაში გაუთვალიწინებელი ხარჯებისათვის განსაზღვრული პროცენტული მაჩვენებლის შეცვლა დაუშვებელია.*

6) *პრეტენდენტის მიერ მექანიკური შეცდომის დაშვების შემთხვევაში, როგორიცაა: _ არასწორი ჯამის ან ნამრავლის მითითება; სიტყვიერი და ციფრობრივი გამოსახულების შეუსაბამობა; შესაძლებელია შესწორდეს დაზუსტების გარეშე, ერთეულის ღირებულების უპირატესობის მინიჭებით, მხოლოდ იმ პირობით თუ აღნიშნული არ აღემატება ვაჭრობის დამატებით რაუნდების შედეგად დაფიქსირებულ საბოლოო ფასს.*

7) *გამარჯვებულ პრეტენდენტს დამატებით მოეთხოვება მის მიერ ვაჭრობის დამატებით რაუნდების შედეგად დაფიქსირებული საბოლოო ფასის შესაბამისი განფასება, თანდართული ფორმის შესაბამისად.*

დანართი №2

ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ

№	*მანქანა-მექანიზმების დასახელება*	*აღწერილობა, მოდელი, ტიპი მარკა, გამოშვების წელი*	*რაოდენობა*	*მდგომარეობა (ახალი, ნახმარი)*	*საკუთრება (მფლობელობის ან სარგებლობის ფორმა)*
1					
2					
.					
.					
.					

პრეტენდენტის ხელმოწერა_____

(ხელმომწერის თანამდებობა, სახელი, გვარი)

<u>შენიშვნა:</u>

1) *პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია მის კანონიერ მფლობელობაში ან სარგებლობის ნებისმიერი ფორმით (იჯარა, თხოვება, ქირა და ა.შ.) არსებული სამშენებლო ტექნიკის შესახებ, რომელიც აუცილებელია ხელშეკრულების განსახორციელებლად. აღნიშნული ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ზემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად.*

2) *საკუთრების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს მანქანა-მექანიზმების და დანადგარების ტექნიკური პასპორტების, ან/და საკუთრების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის (აუდიტის დასკვნა, მიღება-ჩაბარების აქტი, დადასტურებული ანგარიშფაქტურა ან სხვა დოკუმენტაცია) ასლები.*

3) *იჯარის, თხოვების ან დაქირავების შემთხვევაში წარმოდგენილი უნდა იქნეს შესაბამისი ხელშეკრულებები (ამ ხელშეკრულებ(ებ)ის მოქმედების ვადა არ უნდა იყოს სამუშაოების დასრულების ვადაზე ნაკლები).*

დანართი №3

ინფორმაცია პრეტენდენტის შესახებ

პრეტენდენტის (ფიზიკური და იურიდიული პირის) სახელწოდება/დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი (ფიზიკური პირის შემთხვევაში პირადი ნომერი):	
პრეტენდენტის იურიდიული და ფაქტიური მისამართი:	
მომსახურე ბანკის დასახელება, ბანკის კოდი და ანგარიშსწორების ანგარიში:	
პრეტენდენტის უფლებამოსილი წარმომადგენელი (სახელი, გვარი, მისამართი, ოფისის ტელეფონის ნომერი, მობილური, ელ. ფოსტის მისამართი):	

პრეტენდენტის ხელმოწერა_____

(ხელმომწერის თანამდებობა, სახელი, გვარი)

დანართი №3

შესასრულებელი სამუშაოების (ფინანსური) გეგმა-გრაფიკი

სამუშაოების შესრულების ვადა	*სამუშაოების ეტაპების თანმიმდევრობა*	*სამუშაოების შესრულების პროცენტული მაჩვენებელი (%)*	*სამუშაოების შესრულების ვადები*			
			..... კალენდარული დღე ან/და თვე	*..... კალენდარული დღე ან/და თვე*	*..... კალენდარული დღე ან/და თვე*	
			სახელშეკრულებო ღირებულება: ..... ლარი			
	I	%	*.....ლარი*			
	II	%		*.....ლარი*		
	.	%			*.....ლარი*	
	.					*.....ლარი*

პრეტენდენტის ხელმოწერა_____

(ხელმომწერის თანამდებობა, სახელი, გვარი)

<u>შენიშვნა:</u>

ტენდერში გამარჯვებული ვალდებულია, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებიდან, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, წარმოადგინოს სამუშაოების შესრულების ფინანსური გეგმა-გრაფიკი, პროცენტული მაჩვენებლებისა და თანხების მითითებით, დადგენილი ფორმის შესაბამისად. აღნიშნული გრაფიკის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და დააჯარიმოს, ტენდერში გამარჯვებული, ხელშეკრულების საერთო თანხის 10%-ის ოდენობით.